შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი

პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია

1. პროფესიული პროგრამების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მიზანია სწავლის პერიოდში კოლეჯის მიერ შეთავაზებული რესურსებითა და სერვისებით მათი კმაყოფილების შესწავლა.
2. კვლევის მიზნის მისაღწევად გამოიყენება კვლევის რაოდენობრივი მეთოდი.
3. რაოდენობრივი კვლევისათვის მონაცემების მოპოვების გზად შერჩეულია პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ონლაინ გამოკითხვა “Google Forms” პლატფორმის გამოყენებით, რომლის ფარგლებში თითოეულ რესპონდენტს ელექტრონულ ფოსტაზე გადაეგზავნება სპეციალურად შემუშავებული კითხვარის ბმული.
4. შერჩევის მეთოდის სახით აღნიშნული რაოდენობრივი კვლევისათვის გამოყენებულ იქნება გენერალური ერთობლიობის გამოკითხვა.
5. გულახდილი პასუხების მიღებისა და, შესაბამისად, გამოკითხვის შედეგების სანდოობის ამაღლების მიზნით, გამოკითხვა ანონიმურია და თითოეული რესპონდენტი ინფორმირებული იქნება კონფიდენციალობის მკაცრი დაცულობის თაობაზე.
6. პროფესიული სტუდენტის/კურსდამთავრებულის მონაწილეობა გამოკითხვებში ნებაყოფლობითია;
7. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია სტრუქტურირებული ანკეტები (დანართი 1,2), რომლებიც შედგება რამდენიმე თემატური ბლოკისგან. კითხვარები მოიცავს როგორც, ე.წ. ”დახურულ კითხვებს”, სადაც წინასწარ მოცემულია სავარაუდო პასუხები, ასევე „ღია კითხვებს“, სადაც რესპოდენტს შესაძლებლობა ექნება ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრებები საკითხთან დაკავშირებით.
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების კვლევას გააჩნია შემდეგი ამოცანები:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
ბ) პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შეფასება;
გ) კარიერული მხარდაჭერის (პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებით დაგეგმილი/ განხორციელებული) მომსახურების შეფასება;
დ) პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი და მომსახურე ადამიანური რესურსის შეფასება;
ე) პროფესიული პროგრამების მატერიალური რესურსების შეფასება.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევას გააჩნია შემდეგი ამოცანები:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
ბ) პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შეფასება;
გ) კარიერული მხარდაჭერის (პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებით დაგეგმილი/ განხორციელებული) მომსახურების შეფასება;
დ) პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი და მომსახურე ადამიანური რესურსის შეფასება;
ე) პროფესიული პროგრამების მატერიალური რესურსების შეფასება;
ვ) კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/ თვითდასაქმება/ სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობა) დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება;
ზ) დაუსაქმებლობის შემთხვევაში, უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება;
თ) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირი;
ი) იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც დაეხმარა ან რომლებმაც შეუშალა ხელი ცვლილებების (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება და სწავლის გაგრძელება) განხორციელებას;
კ) კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება.

10. პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევას ახორციელებს და ჩატარებული კვლევის შედეგებს ამუშავებს კოლეჯის სტუდენტთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებისა და ცენტრის პერსონალის მხარდაჭერით;

11. პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა ხორციელდება პროგრამის დასრულებიდან არანაკლებ 6 თვის შემდეგ;
12. ჩატარებული კვლევის შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული დასკვნა, რომელშიც ასახულია სათანადო რეკომენდაციები და განსახორციელებელი აქტივობები, რეაგირებისათვის წარედგინება პროგრამის ხელმძღვანელებსა და კოლეჯის დირექტორს;
13. დირექტორი, დასკვნის განხილვის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს სათანადო პროცესების ინიცირებას.

დანართი 1

კოლეჯის რესურსებისა და სერვისების შეფასება პროფესიული სტუდენტების მიერ

ძვირფასო პროფესიულო სტუდენტებო!

გამოკითხვა მიზნად ისახავს პროფესიულ სტუდენტთა მოლოდინების განსაზღვრას და მათი კმაყოფილების კვლევას კოლეჯის რესურსებსა და სერვისებთან მიმართებაში. თქვენს მიერ გაცემული გულწრფელი პასუხები მნიშვნელოვნად დაგვეხმარება კოლეჯის საქმიანობის

გაუმჯობესებაში. კითხვარში ნუ მიუთითებთ თქვენს სახელსა და გვარს, რადგან გამოკითხვა ანონიმურია.

წინასწარ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისათვის!

გთხოვთ შეაფასოთ, ეთანხმებით თუ არა შემდეგ დებულებებს (1 - სრულიად არ ვეთანხმები, 5 - სრულიად ვეთანხმები):

დებულება	შეფასება				
	1	2	3	4	5
ინფორმირებული ვარ პროფესიული სტუდენტის უფლებების და მოვალეობების შესახებ					
ინფორმირებული ვარ აკადემიური თავისუფლების შესახებ					
ინფორმირებული ვარ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/აღდგენის შესაძლებლობის შესახებ					
სასწავლო ცხრილი (განრიგი) კარგადაა განაწილებული					
პროფესიული მასწავლებლები მზად არიან პროფესიული სტუდენტების კონსულტირებისა და მხარდაჭერისთვის					
სწავლების პროცესში აქტიურად ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება					
სასწავლო გარემოს რაოდენობა საკმარისია					
სასწავლო გარემოს ხარისხი (მოწყობა, ინვენტარი და ა.შ.) სრულიად მისაღებია					
საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტისთვის					
ინფორმირებული ვარ შეფასების ფორმებისა და კომპონენტების შესახებ					
პროფესიული სტუდენტთა შეფასების სისტემა ობიექტური და გამჭვირვალეა					
ინფორმირებული ვარ შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობის თაობაზე					
კმაყოფილი ვარ გამოცდების ორგანიზებით					
კოლეჯში ტარდება დამატებითი შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები					
კმაყოფილი ვარ კოლეჯის ინფრასტრუქტურით					
კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტთა საერთაშორისო პროექტებში ჩართვას					
არსებული კარიერის დაგეგმვის სერვისები ხელმისაწვდომი და ეფექტურია					
არსებობს პრაქტიკის გავლის შესაძლებლობები					
კოლეჯი იცავს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებს					
კოლეჯი უზრუნველყოფს დაფინანსებას/თანადაფინანსება პროფესიული სტუდენტების სხვადასხვა პროექტში მონაწილეობისთვის					
ინფორმირებული ვარ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ					
ინფორმირებული ვარ აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმების შესახებ					

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი

კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების ხელშეწყობას და მხარდაჭერას					

ეთანხმებით თუ არა დებულებას იმის თაობაზე, რომ კოლეჯის ადმინისტრაცია:

დებულება	შეფასება			
	დიახ	მეტ-ნაკლებად	არა	არასოდეს მიმიმართავს
მეხმარება პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში				
ყურადღებით ეკიდება ჩემს კითხვებს				
ყოველთვის რეაგირებს ჩემს მიმართვაზე				
მეხმარება, პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად დავგეგმო სასწავლო პროცესი				

ეთანხმებით თუ არა დებულებას იმის თაობაზე, რომ პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი

დებულება	შეფასება		
	დიახ	მეტ-ნაკლებად	არა
დამეხმარა ჩემთვის საინტერესო საკითხის გარკვევაში			
მიწევს ეფექტურ კონსულტაციებს პროფესიულ ორიენტაციასთან /კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით			
მაწვდის ინფორმაციას სახვადასხვა სტუდენტური პროექტების განხორციელების შესაძლებლობების შესახებ			
მაწვდის ინფორმაციას კოლეჯში ორგანიზებულ დასაქმების ფორუმების შესახებ			
მაწვდის ინფორმაციას სხვადასხვა კომპანიებში, ორგანიზაციებში არსებული ვაკანსიების შესახებ			
მაწვდის ინფორმაციას სტაჟირების/პრაქტიკის გავლის შესაძლებლობის შესახებ			
მაწვდის ინფორმაციას დაწესებულების გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით			

ხართ თუ არა ინფორმირებული კოლეჯში გამართული შემდეგი ღონისძიებების შესახებ:

ღონისძიება	შეფასება		
	დიახ	მეტ-ნაკლებად	არა
საინფორმაციო შეხვედრები			
საჯარო ლექციები			
კონფერენციები			
ვორქშოფები/ტრენინგები			

სოციალური, კულტურული, გარემოს დაცვითი და სხვა პროექტები			

რა საშუალებებით/გზით იღებთ ინფორმაციას კოლეჯში დაგეგმილ ღონისძიებებთან (საჯარო ლექციები, კონფერენციები და სხვ.) დაკავშირებით? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)

- კოლეჯი განთავსებული საინფორმაციო დაფებიდან
- ვებგვერდიდან
- ელექტრონული ფოსტით
- სოციალური ქსელიდან
- ადმინისტრაციისაგან
- პროფესიული მასწავლებლებისაგან
- სხვა პროფესიული სტუდენტებისაგან
- არ ვიღებ ინფორმაციას

როგორ შეაფასებდით კოლეჯს 5 ბალიან შკალაზე (5 - საუკეთესოა) შემდეგი ასპექტების მიხედვით:

შესაფასებელი ასპექტი	შეფასება				
	1	2	3	4	5
სისუფთავე					
სანიტარული კვანძები					
ტემპერატურა (გათბობა)					
კონდიცირება					
WiFi ინტერნეტი					
კომპიუტერები					
ვებგვერდი					
აუდიტორიები					
სასწავლო ინვენტარი					
სასწავლო ლაბორატორიები					
პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო სივრცეები					
ბიბლიოთეკის სამკითხველოები					

გთხოვთ, მიუთითოთ კოლეჯის სუსტი მხარეები

_____

გთხოვთ, მიუთითოთ კოლეჯის ძლიერი მხარეები

_____

გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი რეკომენდაციები, რის შეცვლას, გაუმჯობესებას ისურვებდით კოლეჯში?

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი

_____

დანართი 2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა გამოკითხვა

გამოკითხვის მიზანია დაადგინოს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შესაბამისობა შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან და გაითვალისწინოს ისინი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დროს. თქვენი გულწრფელი პასუხები მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებასა და შრომითი ბაზრისთვის კვალიფიციური კადრების მომზადებაში. კითხვარში ნუ მიუთითებთ თქვენს სახელსა და გვარს, რადგან გამოკითხვა ანონიმურია. მადლობა თანამშრომლობისთვის!

1. ხართ თუ არა ამჟამად დასაქმებული?

- ☐ დიახ (სპეციალობის შესაბამისად)
- ☐ დიახ (არასპეციალობით)
- ☐ არა

2. თუ წინა კითხვაზე პასუხი დადებითია, გთხოვთ მიუთითოთ დასაქმების ადგილი (დაწესებულება/ორგანიზაცია) და სამსახურებრივი პოზიცია.

_____

_____

_____

3. თქვენი სპეციალობით დასაქმებისათვის შრომით ბაზარზე არსებული მოთხოვნების ფონზე, გთხოვთ შეაფასოთ თქვენი ძლიერი და სუსტი კომპეტენციები:

კომპეტენციები	**ძლიერი**	**სუსტი**
სპეციალობასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა და გაცნობიერება		
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი		

სხვა:_____

_____

_____

4. გთხოვთ მიუთითოთ საგანმანათლებლო კომპონენტები (სასწავლო კურსი, მოდული, პრაქტიკა და სხვ.), რომელიც არ არის წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო გეგმაში და რომელთა შესაბამისი კომპეტენციები მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ დასაქმების კუთხით.

_____

_____

_____

5. გთხოვთ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები (სასწავლო კურსი, მოდული, პრაქტიკა და სხვ.), რომელთა შესაბამისი კომპეტენციები ნაკლებად მნიშვნელოვანია დასაქმების კუთხით.

_____

_____

_____

6. თქვენი აზრით, რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს თქვენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით პროგრამის გაუმჯობესების მიზნით?

_____

_____

_____

_____

7. რამდენად შეესაბამება თქვენი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს?

- ☐ შეესაბამება სრულად;
- ☐ შეესაბამება ნაწილობრივ;

(გთხოვთ, დააკონკრეტოთ პასუხი:

_____

_____

_____)

- ☐ არ შეესაბამება;

(გთხოვთ, დააკონკრეტოთ პასუხი:

_____

_____)